რედაქცია

მელიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, ატრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## საქართველო

### ქუთაისის გიმნაზია

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოკლე შენიშვნა იმაზე, რომ წელს გათავდება ეხლა ქუთაისის გიმნაზიის დროებით მდგომარეობისა და ახლა ან სრულებით კლასიკურ გიმნაზიად უნდა გადიქცეს ან რეალურ სასწავლებლადო.

იმ შენიშვნაშიაც მოვიხსენიეთ და ახლაც ვამბობთ, რომ ქუთაისის გიმნაზიას ჩვენს გონებით ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა და შემდეგშიაც ექნება, რომ იმის ბედი და მდგომარეობა ჩვენთვის საინტერესო უნდა იყვეს. იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, რაჭის, აფხაზეთის თავად-აზნაურობას ეს ერთად-ერთი საშუალო სასწავლებელი აქვს, სადაც ყველაზე უფრო ეძლევიანებათ თავიანთი შვილების გამოზრდა. ჩვენის აზრით, ისინი ვალდებულნი არიან ამ გიმნაზიის ბედის შეცვლას ყურადღება მიაქციონ.

ვკითხავენ: რომელი გიმნაზია სჯობია: კლასიკური თუ რეალური?

ღმერთო ჩემო, ამაზე იმდენი თქმულა, იმდენი ლაპარაკი და ბაასი ყოფილა, რომ ჩვენ სრულებითაც არა გვაქვს ხალისი კიდევ რამა ვსთქვათ; და ამ ჟამად ჩვენთვის ამის პასუხი მაინცა-და-მაინც ეგრე საჭიროც არ არის.

ჩვენთვის უფრო საჭიროა მეორე კითხვის გარკვევა:

— როგორი გიმნაზია უფრო გამოსადეგია ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიისთვის?

თვითონ ქუთაისის გუბერნია უპასუხებს ამ კითხვაზე, თუ ერთის მხრით, თავის ყოველგვარ საჭიროებაზე დაფიქრდება და თუ მეორეს მხრით, იცის ის განსხვავება, რომელიც, კანონით, კლასიკურ გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელს შუა არის.

ეს განსხვავება, ორის სიტყვით რომ გამოვსთქვათ, მდგომარეობს შემდეგომში:

კლასიკურ გიმნაზიაში უფრო მოშეტებულად ლათინურსა და ბერძნულ ენებს და ისტორიის სწავლას ეტანებიან. ამ გიმნაზიებში კურს-შესრულებულებს აქვთ უფლება სხვადა-სხვა ლიცეიებში და უნივერსიტეტებში შევიდნენ.

რეალურ სასწავლებლებში კი უფრო ბუნებით საგნებს ასწავლიან და აქედამ გამოსულებისათვის ყველა უმაღლესი სპეციალური სასწავლებლების კარები ღიაა, როგორც მაგალითად: სამეურნეო აკადემიებისა და ინსტიტუტებისა, ტეხნოლოგიურ ინსტიტუტისა, საექიმო აკადემიისა და სხვ.

აი უმთავრესი განსხვავება ამ ორგვარის სასწავლებლისა.

ჩვენ რომ გვკითხონ: ამ ორში რომელ სასწავლებელს არჩევთ ქუთაისის გუბერნიისთვისო? ვიტყოდით: ორივეს—მეთქი.

მართლაც, უეჭველია, რომ ქუთაისის გუბერნიას თითქმის ერთნაირად ეჭირება როგორც უნივერსიტეტიდამ გამოსული კარგი მასწავლებლები, იურისტები, ფილოლოგები, აგრეთვე უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში კურს-შესრულებული ტეხნიკები, მეურნეები, ექიმები, ინჟენერები და სხვ.

შეიძლება თუ არა, რომ ეს მოხერხდეს?

ქუთაისის გუბერნიას რომ ორი საშუალო სასწავლებელი ჰქონდეს, მაშინ ერთი კლასიკური იქნებოდა, მეორე რეალური, და ამნაირად ამ საგანზე ლაპარაკიც აღარ იქნებოდა საჭირო.

მაგრამ ახლა?

ჩვენის აზრით, ახლაც შეიძლება საქმე მოთავსდეს, და აი როგორ:

თავად-აზნაურობას სრული უფლება აქვს და შეუძლიან, რომ უმაღლეს მთავრობას თავის საჭიროება გამოუცხადოს და სთხოვოს ამ საჭიროების კანონიერად დაკმაყოფილება.

ითხოვოს იმერეთის თავად-აზნაურობამ, რომ ქუთაისის გიმნაზია ნურც კლასიკურად გადაკეთდება და ნურც რეალურად, რომ ის, თუ შეიძლება ქართულად ესე ვსთქვათ, შერეულ სასწავლებლად დარჩეს, ე. ი. კლასიკური გიმნაზიის კურსიც იყოს იქ და რეალურ სასწავლებლისაც.

ერთის სიტყვით, ჩვენ ის გვინდა ვსთქვათ, რომ, რადგანაც მთელი ამ მხრისთვის ერთად-ერთი გიმნაზია არსებობს, რომელიც სხვა და სხვა გვარ საჭიროებას უნდა აკმაყოფილებდეს, ამისათვის კარგი იქნება, რომ ამ გიმნაზიაში კურს-შესრულებულებს უნივერსიტეტშიაც და უმაღლეს სპეციალურს სასწავლებლებშიაც შესვლის უფლება ჰქონდეს. თუ არ ვსცდებით, ქუთაისის გიმნაზია ახლა ამ მდგომარეობაშია, და თუ ეს ასეა, მაშინ კიდევ უკეთესი: საზოგადოებას შეუძლიან ითხოვოს, რომ ეს სასწავლებელი ისევ იმავე მდგომარეობაში დარჩეს, როგორც ახლა არის.

ვიმეორებთ: ქუთაისის გუბერნიის საჭიროება მოითხოვს, რომ, თუ ზემოხსენებული ორგვარი სასწავლებელი არა აქვს, ერთი მაინც უნდა ჰქონდეს ისეთი, რომ ამ მხრით დააკმაყოფილოს იმის საჭიროება.

## ფელეტონი

### საყმაწვილო ზღაპრები

პირველი სალამი

დაგვიზამთრდა.

დღეჲ იკლო და ღამემ იმატა.

ბნელმა სძლია ნათელს!

გრძელი ღამეების შესამოკლებლად, მოვუსხდეთ ირგვლივ, ყმაწვილებო, ამ გამხიარულებულ ბუხარს და გავმართოთ საუბარი. მოვყვეთ ცის, ბარის, ხმელეთის და ზღვის ამბავს; ამ მთის ვახსენოთ და იმ კლდის; ხან-და-ხან შიგა-და-შიგ ზღაპრებიც გამოვურიოთ ხოლმე!.. აბა... ჰე!..

* * *

როდესაც ეს ჩვენი ქვეყანა დაარსდა, ერთი თვალთ-მაქცი მისი წინასწარი არსება, რომელსაც არც თავი ჰქონია და არც ბოლო ექნება, გვერდში ამოუდგა იმ ახალ-არსს და მის შემდეგ მრავალ ფერიანი სასუკუნოები ისე ინთქმებიან მისს უძირო უფსკრულში, როგორც წვეთები ოკეანის ზღვაში. ამ დაუბერებელ არსებას, რომელიც ყოველ წლობით ოთხ-ოთხჯერ იცვლის სახეს, ეწოდება „დრო.“

ჯერ მხიარული—პატარძლათ მოგვევლინდება ხოლმე შემდეგის სიმღერით:

გაზაფხულის სიმღერა

მზის სხივებით შემოსილი
მევყნად მოვალ პატარძალი.
ბუნებაო, კმარა ძილი,
შენთვის მომაქვს ჩემი ძალი.

აჰყვავდი და აბიბინდი,
ძალა შენი თვით იჩინე.
მთლად გაჰფანტე შენი ბინდი,
ბარს ნათელი მოიფინე.

შეიმოსე საქორწილოთ,
მომეგებე მომავალსა
და მერმისთვის მეც სალხინოდ
შენზედ დავსდებ ჩემსა კვალსა.

ქალს კეთილს და ნაყოფიერს
საბოლოდ მოსამკელსა,
და მისათვის გიცვლი მე ფერს,
გაცმევ მდიდრულ სამოსელსა.

მზის სხივებით შემოსილი
მევყნად მოველ პატარძალი
და, ბუნებავ, შენ ქორწილი
გამიმართე მე ახალი!...

სიმღერის გათავების შემდეგ მისის ჯადოსნურის ღიმილით ათბობს და სულს უბრუნებს გაბრუებულ არემარეს.

როგორც კი გადაავლებს თავის ჟუჟუნა თვალს გამხმარ დედა-მიწის ზურგს, მაშინვე მწვანით ჰმოსავს მთა და ველს, რაღაც ანდამატურის ძალით ამოაკოკრებს სხვა და სხვა მრავალ-სუნნელოვან ყვავილებს, ნიავით ქცეულის სუნთქვით არხევს მათ აკვანივით, იტაცებს, მათის შერხევის დროს, მათგან აღმოფშვენილ სუნნელებს და ჰაერის კეთილ-გასაწმენდელათ ჰფანტავს ყოველ კუთხით!

ამ ჟამად, ერთმანეთში გარმონიულად შეთანხმებული ბალახების შიშინი, ფოთლების შრიალი, ყვავილების რხევა და ჩიტების ჭიკჭიკი, თითქოს მაყრულს ეუბნებიან არემარეს. ეს ყოფა გრძელდება მარტის პირველიდამ დაწყებული სამს თვეს. ეს არის გაზაფხული. პირველ ფიზათვეს, ეს გაზაფხულად წოდებული პატარძალი აღარა სჩანს.

* * *

მის ადგილზედ ჩვენ ვხედავთ ერთს კარგ ნაკვთს ორსულ დედა-კაცს, რომელსაც თავი ძირს დაუხრია, მოდრეკილა მძიმე ტვირთით, ძლივს სულს იბრუნებს სიცხისაგან, და გული გალიალებულს ოფლი წურწურითა სდის.

თანაც ამას იმღერის:

ზაფხულის სიმღერა

ტვირთი ბოლოს სასარგებლო
მძიმეც მჩატედ გვეჩვენება!...
ვისაც მწარე უჭამია,
იცის სიტკბოს გემოვნება!

ეს სიცხე და მხურვალება
ჩემს ტვირთს ზდის და ამაგრებსა!..
ვისაც ჭირით არ უთესავს,
ის ლხინით რას მოიკრებსა?

გულ-გახსნილი, სიცხიანი
ვემონები დღეს ჩემს ბედსა,
და მძიმე ტვირთს სიხარულით
ვითმენ, როგორც დიდს იმედსა.

ბუნებავ, შენცა წამბაძე,
მე ამილე მაგალითად,
და ნაყოფი ქვეყნის საზრდო
აკიდე ზურგზედ ტვირთად.

მზის სხივი და მხურვალება
ტვირთს ზდის და თანც ამაგრებსა;
ვისაც ოფლით, არ უთესავს

და ამის შესრულება, ამ საჭიროების წარდგენა და ახსნა შეუძლიან იმ თავად-აზნაურობის კრებას, რომელიც ამ მაისში მოიყრის თავს კენჭის-ყრისათვის.

ს. მესხი

---

## ᲓᲚᲘᲣᲠᲘ

—

ჩვენ მოგვივიდა ქართულ წიგნების გამომცემელ საზოგადოებისაგან ახლად დაბეჭდილი თხზულებანი ჩვენის მიცვალებულის ნიჭიერი დრამატურგის ზურაბ ანტონოვისა. მარგი, პატარა, სქელი წიგნია, რომელიც, როგორც წინათაც მოვიხსენიეთ, ავტორის ყველა კომედიებს (7) შეიცავს, რომელიც კი გამომცემლებს შეუკრებიათ. წინასიტყვაობაში დაბეჭდილია ავტორის ძმის უფ. ზრ. ანტონოვის წიგნი, რომელშიაც მოკლე ცნობებია მოყვანილი ავტორის ცხოვრებაზე.

დღეს ამ წიგნზე მეტს არას ვამბობთ, რადგან ამ მოკლე ხანში უფრო ვრცელი სტატია დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში.

* * *

გამგებელი კომიტეტი ერთ-დღიურის აღწერისა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 22 მარტიდამ დაიწყება ერთ-დღიურის აღწერის მოქმედება; მხოლოთ თვითონ ერთ-დღიური აღწერა მოხდება მარტის 25-ს.

* * *

სამეგრელოდამ გვწერენ, რომ ამ მოკლე ხანში ნოქალაქევში თ. თ. დადიანებსა და იქაურ გლეხებს შუა რაღაც უკმაყოფილება მომხდარა მამულის თაობაზე და თ. დავით დადიანი გლეხებს თოფით დაუკოდავთ.

* * *

ოზურგეთიდამ გვატყობინებენ, რომ როგორც ათბა თუ არა ცოტაო, აჭარლებმა აჭარის მთის გადმოვლა დაიწყესო, სადაც ამჟამად კიდევ უკანასკნელი ერთი საჟენი თოვლი სძევსო, და ბლომად გადმოაქვთ ზურგით: ხორბალი, კარტოფილი, ლობიო, ცერცვი, მხალი, ვაშლი და სხვ., და ყველა ამას ჩვენს ქალაქში ჰყიდიანო.

* * *

იქიდამვე გვწერენ, რომ ამას წინათ რომ გაზეთში სწერდით, ის ქალი სერანა თებერვლის დამლევს აქ მოვიდაო. ზურიის ხალხი, აღგილ-მდებარეობა და ბუნება ძალიან მოეწონაო, მაგრამ, რადგან მარხვაა და შექცევა და მხიარულება ნაკლებად არის, ამის გამო ამბობს, რომ ამ ხალხს შექცევა და მხიარულება არ სცოდნია. აფსუსი არ არისო, ამბობს, კორრესპოდენტი, რომ გურულებზე ამას ამბობდეს ვინმეო!..

* * *

„თფილისის მოამბე“ გვაცნობებს, რომ ჩატახის თუჯის ქარხანა მეპატრონეების ვალში გაყიდულა და უფ. ს. შაბუროვს უყიდნია.

* * *

ამავე გაზეთში დაბეჭდილი ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ სამხედრო სამინისტროს ოფიციალურს გაზეთში „რუსის ინვალიდში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომ ის დრო, რომელიც კავკასიის ჯარებმა სვანეთის დამშვიდებას მოახმარეს კამპანიის (ლაშქრობის) დროთ ჩაითვალოსო (ლაშქრობის დროს, რუსის, კანონებით, თვე წელიწადათ ითვლება).

* * *

სოფლის წმ. ნინოს ორს მეცხვარეს ამ დღეებში ექვსი ავაზაკი დასცემიან. მეცხვარეები, როგორც გვითხრეს, სომხები ყოფილან. ორთავეს თოფები ჰქონიათ; მაგრამ ისე შეშინებულან პირველ დაცემაზედვე, რომ როცა ავაზაკებს დაუყვირიათ:—თოფები მოგვეცით ახლავო! აულიათ და მიუციათ ორთავეს. თოფებს გარდა, ავაზაკებს რამდენიმე ცხვარი შეუგდიათ ცხენზე და გაქანებულან.

* * *

ეს ორი კვირა იქნება, რაც ჩვენ ქალაქს ბ ო შ ე ბ ი (ციგნები) ეწვია და სწორე უნდა ვსთქვათ, მოსვენება კი აღარ არის იმათგან და! სადაც არ გაიხედავთ, დაწანწალებენ და ხელებს ცხვირში მოგაწვდიან სამათხოვროთ. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ სხვა ცუდ ზნესაც უჩივიან: ცუდათ დადებული ან შენახული თუ რამე ნახეს, არ დაზოგვენო, ამბობენ.

* * *

აქაურს სამეურნეო საზოგადოებაში გასულს 17 მარტს, ოთხშაბათს, იყო წლიური სხდომა ამ საზოგადოებისა, რომელზედაც სეკრეტარმა უფ. სიტოვსკიმ წაიკითხა საზოგადოების გასული 1875 მოქმედების ანგარიში.

თავიდამვე უ. სეკრეტარმა მოიხსენა გარდაცვალება საზოგადოების საპატიო წევრის უფ. პოლ.-ტ. ივ. ორლოვსკისა. შემდეგ მოიყვანა საზოგადოების შარშანდელი შემოსავალ-გასავლის ანგარიში, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მდგომარეობა და სხვ.

ბოლოს თავსმჯდომარემ ღენერალ ასტაფიევმა განაცხადა ნატვრა, რომ ამ საზოგადოებას შემდეგშიაც ქვეყნის სასარგებლოდ ეცხოვროს.

* * *

ჩვენ მოგვივიდა უფ. [illegible]საგან პეტერბურღში გამოცემული წიგნი, სახელად „კრება მასალებისა კავკასიის მადნის წყლების გასაცნობად“, მეორე ტომი, 1875 წ. ამ წიგნში, სხვათა შორის, შემდეგი სტატიებია დაბეჭდილი: „ესსენტუკის გეოლოგია“—აკადემიკის აბიხისა, „კავკასიის მადნის წყლების ზედ-მოქმედება სხეულის წონაზე და სითბოზე, მაჯაზე და სულთქმაზე—პროფესორის კრემიანსკისა, „გეოლოგიური პირობა კავკასიის მინერალური წყლების არსებობისათვის“—დოქტორის მილიუტინისა და სხვ.

* * *

ამ შაბათს ზოდჩრუას ცირკში, როგორც გვითხრეს, შესანიშნავი წარმოდგენა იქნება—ისტორიული პანტომიმისა „ხანდრილიონის.“ ამ წარმოდგენაში სულ ოთხი-ხუთი წლის ყმაწვილები მიიღებენ მონაწილეობას; ამბობენ, რომ 80 ყმაწვილამდი იქნება წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებნიო; სცენაზე წარმოდგენილი იქნებიანო ნაპოლეონი, ბისმარკი და სხვ. ისტორიული პირებიო. წარმოდგენის დაწყებამდი სცენაზე გაივლის ლილიპუტის (ჯუჯების) ჯარი და სხვ.

---

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

პიატიგორსკი, 13 მარტს

პიატიგორსკი ამ ჟამად დიდს მზადებაშია საკურსოთ; მაგრამ როგორი მოსავალი დაუდგება და ან როგორი სრიდი, ჯერ არავინ იცის. მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ თუ ამათ იმავ თავიდამვე კეთილ-სვინიდისიანათ წაეყვანათ საქმე, ნამეტნავათ კონტრაგენსტვოს და არ დაეჭყიელა გაზე-

---

ის ვერაფერს მოიკრებსა.

—

იმ დროს, ამ ქალბატონის მიხედვით, ბუნებაც დატვირთულია ნაყოფით, ზდის მას, ამწიფებს და ამზადებს ქვეყნის საზრდოთ.

ეს დრო გახლავსთ ზაფხული.

* * *

პირველ ენკენისთვეს ესეც იპარება. მის ნაცვლად ჩვენ თვალთ-წინ იხატება ერთი მშვენიერი ახალგაზდა დედა, რომელსაც მიუკრავს გულმკერდზედ მშვენიერი ყმაწვილი და ტკბილის ღიმილით ძუძუს აწოვებს და—თანაც „ნანას“ ეუბნება. ამ დროს ჰქვიან შემოდგომა, როდესაც ნაყოფი შემოდის. მხიარული დარი არის, მაგრამ სამის თვის მეტი ბორჯი კი არც ამასა აქვს.

### შ ე მ ო დ გ ო მ ი ს ს ი მ ღ ე რ ა

—

ძუძუ მევსება ტკბილის რძით,
და შენც კი გშიან განაო?
მოსწოვე, შენი სარჩოა,
შვილო! ნანინა-ნანაო!

—

მხოლოდ ძუძუთი იზრდება
ბევრი სხვაც შენისთანაო;
სანამ არ გამლე, ეს ძუძუ
სულ პირში გედვას!. ნანაო!

—

თან სწოვე, თანაც იზარდე,
რომ ქვეყნის გამოცანაო
ერთს დროში შენვე გაიგო,
ნანინა—ნანა-ნანაო!

—

რომ რძე დაგაკლდეს, მაშინ ხომ
სჯობს გაგიყარო დანაო.
მაგრამ ეს ღმერთმა გვაშოროს,
ნანინა-ნანა-ნანაო.

—

ამ თვეებს მისაბაძავი
არვინ ჰყავს ჩემისთანაო;
ქვეყანას ძუძუ აწოვეთ,
უძახეთ: „ნანი-ნანაო!“

—

ძუძუს მოაძგა ტკბილი რძე,
აწვება თან-და-თანაო,
შვილო, მიშველე, მოწოვე!...
ნანინა—ნანა-ნანაო!

მშვიდობით, მეორე წლამდე, პატარძალო გაზაფხულო!

—

გამარჯობა, ორსულო ქალბატონო—ზაფხულო! და ბედნიერად, დედა-ძიძავ, შემოდგომავ!!!.

* * *

თქვენს ადგილს ქრისტეშობისთვიდამ, იჭერს საზიზღარი დედაბერი, ქურქ-წამოსხმული და ამოწუმპული, თეთრი თმა გაშლილი კოჭებამდი აყრია. ბევრი ცოდვა ჰკიდია ზურგზედ.

ვაი ღარიბის ბრალი მის ხელში! ბევრი წყევლა-კრულვა აქვს, მაგრამ სასტიკ-დედაბერს კი არავისი ეშინიან. მისი გამქცევი მხოლოდ ცხელი ნაგუზალია.

ამ დედა-ბერს ეძახიან ზამთარს, და ამის სიმღერაც ეს არის:

### ზ ა მ თ რ ი ს ს ი მ ღ ე რ ა

—

თოვლით, წვიმით და ქარიშხლით
მოვალ, ყინვაც თან დამყვება!
ჩემის სუსხით დამსჭვალული
საქონელიც ხშირათ სწყდება..

—

ქვრივ-ობლისა და ღარიბის
მე არა მაქვს სიბრალული!
ვაი, ვინც არ დამიხვდება
თფილს ოთახში!... ქურქ-მოსხმული!

—

ბოქაულად შევუგზავნი
ანთებაებს, სურდოს და მჭვალს,
და თუ მარჯვეთ არ დამიხვდა,
საუკუნოდ დახუჭავს თვალს.

—

არე-მარეს გავაბრუებ,
წყლებსაც შეუყენებ დენას,
ქვე წარმავალს გავაშეშებ
და აუბამ ფრინველს ენას.

—

ხმელ შეშას ფასს მოუმატებ,
ცეცხლსაც გავაგემრიელებ.
ყველას დავაძახებ: „მცივა!“
არვის მოვიმადლიერებ!

—

თოვლით, წვიმით და ქარიშხლით
მოვალ, სუსხიც თან მეხლება
და ვაი მას, ვისაც ჩემი
ისარი გულს მეეხლება.

* * *

ამ სტუმრებს, როგორც ზემოთ დავინახეთ, თავ-თავის დანიშნული დრო აქვსთ. იმას ვერც დაასწრებენ და ვერც გადააცილებენ. მაგრამ ყოველთვის ერთს გუნებაზედ კი არ არიან და ერთნაირის ხალისით არ მოვლენ ხოლმე.

ის სამი ქალბატონი კიდეც ავგუნებაზედ რომ იყონ, მაინც ისე საძაგელი და საშიშარი არ არიან, როგორც ეს მეოთხე დედაბერი—ზამთარი... ამის გულ-მოსულობა, მართლა რომ შესაჩვენებელია.

აკაკი

—

თებში და ჟურნალებში ამათ მოქმედებას და მოპყრობას, მაშინ ეჭვი არ იყო, რომ აქაურები უფრო გადაჭარბებით იოხებდნენ გულს და დაატკბობდნენ თავიანთ გრძნობებს.

წარსულს წლებში ავათმყოფებზედ ადმინისტრაციული უფლება კონტრაგენსტვოს ხელში იყო და დიდი უწესოება და უკმაყოფილებაცა ჰქონდათ ხოლმე ურთიერთშორის. ეხლა, როგორც შევიტყე ნამდვილათ, შეუცვლიათ ეს წესი, ასე რომ მთელს გრუპპაზე კონტროლათ დაინიშნება კერძო სამხედრო ადმინისტრაცია, რომლის ვალდებულება ის იქნება, რომ უნდა მიაქციოს ყურადღება ავათმყოფების მოთხოვნილებას და აგენსტვოს მოქმედებას და თუ რომელიმე მხარე დამნაშავეთ იცნა კონტროლმა, მაშინ შეადგენს განჩინებას და გადასცემს სასამართლოში, რომელს უწყებასაც ეკუთვნიან, დამნაშავის დასასჯელად.

მართლადაც რომ კონტროლი აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა და კიდევაც შეადგენს. მაგრამ საქმე ეხლა ამაში მდგომარეობს, — თუ ავათმყოფებმა შეითვისეს სამხედრო ადმინისტრაცია, რადგანაც უფრო მკაცრი განგებულება აქვსთ. თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, რომ სენ-მორეული ადამიანის გულის ღელვა და მისი აღშფოთება ძალიან უბრალო მიზეზზედ და საგანზედ არის დამოკიდებული, როდესაც რომ კარგათ-მყოფს ის საგანი და მიზეზი სიცილათაც არა ჰყოფნის. მე არ ვიტყვი იმას, რომ უ. გამგებელს მაიკოვს დიდი სიმართლე მიუძღოდა წარსულ წლებში ავათმყოფებთან; მაგრამ ხანდისხან ავათმყოფებიც ძალიან მცირედ საგანზედ ახირდებოდნენ ხოლმე, რომ მაიკოვი დამნაშავეთ არ ჩაითვლებოდა; და ეხლა რაკი „მტყუანს ტყუილის კარამდის მიჰყვებიან“, უფრო ცხადათ დავინახამთ ყველას დანაშაულობას.

ღმერთმა ინებოს, რომ კეთილათ და კმაყოფილებით წასულიყოს საქმე.

პიატიგორსკის სამკურნალო წყლები არის აღმოჩენილი ათას შვიდას სამოცდა მეთოთხმეტე წელიწადში და გასაკვირველი ეს არის, რომ ამ ას-ორი წლის განმავლობაშია აქაურობა ასე არის ყურ-მიგდებული. რაც ამ წყლებზედ შენობებია, ისიც განსვენებულს ვორონცოვს უმადლონ. თუმცა მართალია მოსკოვის საზოგადოებას ნდომებია იჯარით აღება მთელი გრუპპისა, იმ პირობით, რომ აეშენებინათ საკმარისი შენობები მომსვლელ ავათმყოფებისათვის და ამასთანავე მაღაზიებიც ყოველ-გვარი საქონლით, რომელშიაც ხუთი მილიონი მანეთი უძლევიათ მთავრობისათვის, მაგრამ ვერ მორიგებულან, რადგანაც საზოგადოებას ას წლამდის თავიანთ სასარგებლოდ სარგებლობა უთხოვნია და შემდეგისათვის კი მთავრობას უნდა დარჩომილიყო მთელი შენობები. ეხლა კი ჯერ ხანად, ყოველ წლობით ოცდა თხუთმეტ ათას მანეთს ისევე მთავრობა იძლევა აქაური შენობების გასამშვენებლად.

აქ კურსი ყოველ წელიწადს, პირველ მაისიდამ იწყება ხოლმე, ვიდრე თხუთმეტ ენკენისთვემდე.

ერთი ფრანცუზის ჟულ-ფრანსუას გამოძიებით, (ამ ჟულ ფრანსუამ ევროპაში მრავალს ადგილას აღმოაჩინა სამკურნალო მადნეული წყალი), რომელიც შარშან აქ დაესწრო კურსის დროს, მაშუყის გორის ძირას, ელიზავეტინსკის გალერეის გვერდით სამოც ნაბიჯზედ, და სამხრეთის მხარეს, გამოთხარეს ას ნაბიჯზედ მეტი მიწაში ხვრელი (ტონელი) და აღმოაჩინეს ორმოც-და-ერთ გრადუსიანი ცხელი წყალი გოგირდ და სხვა მადნეულ ნარევი. წელს კი ვერ მოასწრებენ და საგაისოთ კი აპირებენ ვანების ჩადგმას. ეს წყალი რვა ვანას ამუშავებს გულ-უხვად.

გ. ბრემელი

---

დ. ყვირილა, 15 მარტს

ძლიერ ბევრი ლაპარაკი არის აქ კიდევ შესახებ შორაპნის უეზდის სამმართველოს 2638 მანეთის აღმოუჩენლობისა. აი რას ამბობენ ნამდვილად ამ საქმეზე:

10 ფებერვალს უეზდის უფროსს უფ. ეფიმოვსკის შეუნიშნავს, რომ მის სეკრეტარს უ. პატარიძეს ყველა შემოსული ფულები იანვრის თვისა არ ჩაუწერია შემოსავლის წიგნში. მოუთხოვნია მისთვის, თუ რათ არ ჩასწერა მან წიგნში ყველა შემოსული ფულები იანვრისა და დეკემბრის თვისა? უ. პატარიძეს განუცხადებია, რომ ფული რაც წიგნშია ნაჩვენები, მეტი არ შემოსულაო.

უეზდის უფროსი შემოსავალ-გასავლის წიგნების განხილვას შესდგომია.

ამ დღეს უ. პატარიძე მოსულა უეზდის უფროსთან და უთხოვნია, რომ ცოტახანს მოეთმინა და შემოსავალ-გასავლის წიგნების გახილვას არ შედგომოდა.

მეორე დღეს უეზდის უფროსს კამისია შეედგინა და გამოეცხადებია პ—ისათვის, რომ დაუყოვნებლივ რაც ფულები აკლდა, შეემსო უთუოდ და თვითონ თანაშემწეთ და სხვა მოსამსახურე პირებით წიგნების განხილვას შესდგომოდა. უ. პატარიძეს პირველად თუმცა განეცხადებია, რომ რაც ფულები აკლია, შევავსებ და ჩავსწეროო, მაგრამ ბოლოს გამოეცხადებია, ფულები მე თქვენ გადმოგეცით და ამის ხელწერილი მაქვს თქვენგანით მოცემულიო. უ. ეფისმოვსკიმ ეს ხელწერილი ყალბ შედგენილად იცნო და მაშინვე ყოველივე გარემოება უფ. ქუთაისის ღუბერნატორს მოახსენა.

ქუთაისიდამ მოვიდა ვიცე-ღუბერნატორი ცნობის შესაკრებად და გამოჩნდა, რომ უ. პატარიძეს 2400 მანეთამდე ისე მიუღია სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა პირთაგან, რომ არცერთი არ ჩაუწერია შემოსავლის წიგნში. ზოგი ფულები ისეა მიღებული მისგან, რომ სრულებით არ გაუგებინებია უეზდის უფროსისათვის.

ხელწერილი, რომელიც აქვს უ. პ—ძეს ვითომც უეზდის უფროსისაგან მიცემული, არის ერთ პატარა ნაგლეჯ ქაღალდზე დაწერილი თვითონ პატარიძის ხელით და ბოლოს კი მართლა უფ. უეზდის უფროსის ხელი არის მოწერილი; მაგრამ, ამბობენ, ვინც უნდა ნახოს, არ შეიძლება ეჭვი არ აიღოს მის სინამდვილეზედაო. ყოველი მნახველი დარწმუნდებაო, რომ ეს პატარა ქაღალდის ნაგლეჯი უთუოდ რომელიმე საქმიდგან უნდა იყოს ამოჭრილიო. დაწერილია შვიდს წარსულ თებერვალს.

საქმე, როგორც ეტყობა, სასამართლოში გადადის.

X.

---

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთის რესპუბლიკა და ევროპა.

(ისტორიული მიმოხილვა)

—

მთელი ევროპა, თითქმის მთელი დედა-მიწა ყურადღებით უყურებს საფრანგეთის ცხოვრებას. ყველა უბრალოც არის გარემოება საფრანგეთის ცხოვრებისა მიიქცევს საყოველთაო ყურადღებასა და ინტერესს. ეს ინტერესი მოემატა განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს, როცა ამ არჩევანისაგან საფრანგეთის ბედი და მომავალი დამოკიდებული იყო.

ინგლისი, რუსეთი და გერმანია, ესპანია, იტალია და ავსტრია დათანხმდნენ საფრანგეთში რესპუბლიკის დაარსებაზე.

რასაკვირველია, ამ გვარ სიმპატიის გამოცხადებაზე ცალ-ცალკე სახელმწიფოებს საკუთარი მიზეზი უნდა ჰქონოდა. პროტესტანტის სარწმუნოების ქვეყნები საფრანგეთის რესპუბლიკის გამარჯვებაში ჰხედავდნენ კლერიკალების დამარცხებას.

მაგრამ რაც უნდა იყოს, რა პირადი მიზეზები ჰქონდეთ გარეშე ქვეყნებს, საფრანგეთი მაინც სრულიად კმაყოფილია ამ სიმპატიურ ყურადღებისა, რომელმანც სულ ახალი და სანატრელი მდგომარეობა მისცა ახალის რესპუბლიკას.

აი საკუთრათ ამ მდგომარეობაზედ გვინდა მოვილაპარაკოთ, და ამასთან დარწმუნებული ვართ, რომ ამ ჩვენს შრომას ახლა აქვს უფრო მნიშვნელობა და ალაგი, რადგან სენატის და დეპუტატების პალატის ამორჩევაები გათავდა და ეს ორი პალატა ახლა თავს იყრის.

×

მესამე რესპუბლიკას ბევრი უპირატესობა აქვს ორს მის წინაპარზედ. უკეთესს დროსა და გარემოებებში დაფუძნდა ის.

1792 წ. საფრანგეთის რესპუბლიკამ მთელი ევროპა აღძრა, რადგან დანარჩენი ქვეყნების წყობულება წინააღმდეგი იყო თავისუფლების პრინციპისა. მარტო ერთ სახელში რესპუბლიკისა ევროპის [illegible]ტზე დაუცხრომელ უთანხმოებას ჰხვდავდნენ. აი კიდევაც ამ მიზეზისა გამო გაჩნდა საფრანგეთსა და დანარჩენ ევროპას შუა ის საზარელი ომი, რომლიდამაც გამარჯვებული გამოვიდა საფრანგეთი; ამ მიზეზისა გამო დაარსდა სამს ჩრდილოეთის სახელმწიფოებ შუა ის „ს ა მ ღ თ ო კ ა ვ შ ი რ ი“, რომლის მიზანი თავისუფლების დამონება იყო და რომელმანც 1814 და 1815 წ. საფრანგეთი დაამარცხა.

1848 წლის რევოლიუცია (თებერვალის) წინააღმდეგ ორმოცი წლის მშვიდობიანობისა, წინააღმდეგ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ჰ ზ რ ე ბ ი ს განვრცელებისა ევროპაში და უკანასკნელ წინააღმდეგ მშვიდობიანობის ნიშნისა ეს „შეურაცხყობის რევოლიუცია“ შესრულდა მყუდროებით და ურისხვოთ. ამან მოსპო პოლიტიკური დამნაშავეებისთვის ეშაფოტი და დაარსა საქვეყნო კენჭის-ყრა (le souffrage universel).

ზოგიერთ მაშინდელ მმართებლობაებს ეგონათ, ეს მეორე რესპუბლიკა მათი პირდაპირი მტერი იყო.

ამაოდ ლ ა მ ა რ ტ ი ნ ი თავის მჭევრმეტყველს 8 მაისის ცირკულიარში სცდილობდა დაერწმუნებინა გარეშე სახელმწიფოები, რომ „საფრანგეთის რესპუბლიკას სახეში არა აქვს ევროპის წყობილების შემუსვრა;“ ამაოდ კონსტიტუცია ეწინააღმდეგებოდა იმათ, ვინც კი სცდილობდა, რომ ელო ხმალი რევოლიუციის გასავრცელებლათ, — რესპუბლიკას სიცოცხლეს მაინც ბოლო მოუღეს უდროოთ.

პარტიებთა და პირებთა შორის უთანხმოებამ საფრანგეთში აღრეულობა დაჰბადა, რომლის შედეგი იყო ღენერალი კ ა ვ ე ნ ი ა კ ი ს დიქტატორობა და შემდეგში იმპერიის დაარსებაც.

თავისუფლების წინააღმდეგნი კმაყოფილნი არ იყვნენ სამხედრო დიქტატორობით, მათ უნდოდათ უფრო დაერწმუნათ სამეფო და კლერიკალური ევროპა; ამისათვის საფრანგეთის რესპუბლიკის ჯარი გახდნენ პაპის ქვეშევრდომად და შეატაკეს ნორჩ რომის რესპუბლიკას და კიდევაც ამ გვარათ გასრისეს რომის თავისუფლება.

როცა ეს ერთი მიზანი შეასრულეს, მოსდგენ თვით საკუთარ სამშობლოს და იმ გვარათ შეაძულეს ხალხს თავისუფლება, რომ ქვეყანა თითქმის კმაყოფილი იყო ნაპოლეონის კანონის წინააღმდეგობაზედ.

ევროპამ სიხარულით მიიღო ნაპოლეონისაგან რესპუბლიკის დაცემა. მას ეგონა, რომ სამუდამოთ მოისპო რესპუბლიკის სახელი; მაგრამ მალე მიხვდა ევროპა თავის შეცდომილებას და იმპერატორის მეზობლობა მისთვის სხვა გვარათ იყო საშიში, ვინემ დემოკრატიულის (სახალხო) სახელმწიფოსი. ნაპოლეონს თავშიდაც არ მოსდიოდა, რომ მიყოლოდა საკუთარ პროგრამას, რომელიც,

მისდა საუბედუროთ, თვითონ მან დასდო მიზნათ და რომელიც წარმოსთქვა ბორდოში: „იმპერია მშვიდობიანობაა“ (L'empire c'est la paix).

უეჭველია, ვინც კი მოხარული იყო მეორე ბონაპარტის გამარჯვებისა, იმათაც გამოსცადეს საზარელი ზედმოქმედება მისგან დაარსებული უკანონო პოლიტიკისა. ნაპოლეონმა თავის პირადი სარგებლობისათვის საფრანგეთს ის განსაცდელი მიაყენა, რომლის შედეგი იყო 1870 წლის ომი და საფრანგეთის დამცირება.

დ. დ.

(დასასრული შემდეგ №-ში)

# განცხადებანი

**კომმისია**, დანიშნული ქუთაისის გუბერნიის აზნაურობისაგან მოსამზადებელი შრომისათვის, რომლის ასრულება ს ჭირო იყო მიხაილის აზნაურობის სადგილ-მამულო ბანკის გასახსნელად, **აცხადებს ამით, რომ პირველი საყოველთაო კრება წევრთა საზოგადოებისა „მიხაილის აზნაურობის სადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისს“ ალსარჩევად ბანკის მმართველობისათვის საჭირო პირთა და განსასჯელად იმა კითხვებისა, რომელთა გარდაწყვეტა მიუცილებელია ბანკის მოქმედებათა დაწყებისათვის, დანიშნულია ქ. ქუთაისს ამა 1876 წლის აპრილის თოთხმეტსა დღესა.**

ამისათვის კომმისია უმორჩილესად სთხოვს ხსენებულის ბანკის დამაარსებელთა მობრძანდნენ დანიშნულს დღეს ქ. ქუთაისს. ამას კომმისია დასძინებს, რომ, ძალითა § 81 მიხაილის აზნაურობის სადგილ-მამულო ბანკის წესდებისა, რომელიც ფინანს მინისტრმა დაამტკიცა 1875 წლის ნოემბრის 10-ს, ყოველ საზოგადოების წევრს უფლება აქვს დაესწროს იმ საგნების განსჯის დროს, რომელთაც საზოგადო კრებაში განიხილვენ, მაგრამ ხმის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ ორასი მანეთის ან მეტის შემტანნი დამფუძნებელნი, და არავის არ შეუძლიან ერთ ხმაზედ მეტი იქონიოს. დამფუძნებელთა, რომელთაც ბანკის შესადგენად ორას მანეთზედ ნაკლები შეუტანიათ, შეუძლიანთ შეერთდენ და, თუ მათგან შეტანილი დასაფუძნებელი წილი ერთად ორას მანეთზედ ნაკლები არ გამოვა, გამოირჩიონ თავის შორის საზოგადო კრებაზედ დასასწრებლად ვექილი, რომელსაც ერთის ხმის უფლება ექნება. იმავე წესდების § 82-ის ძალით, ვინც საზოგადოების წევრთაგანი კრებაზედ არ დაესწრება, იმას შეუძლიან თავისი ხმა სხვა ხმის მქონეს წევრს გარდასცეს, ანუ უმახლობელს ნათესავს: მამას, შვილს, ძმას, ქმარს, სიძეს; მაგრამ ერთს კაცს არ შეუძლიან ერთს რწმუნებულს ხმაზედ მეტი იქონიოს, ანუ ორს ხმაზედ მეტი, რომელთაგან ერთი თვითონ მისი ხმა იქნება და მეორე სხვისაგან რწმუნებული. ვინც აპეკას ქვეშ იმყოფება, იმათი ხმა აპეკუნებს და მზრუნველებს ეკუთვნისთ. რწმუნების წერილი საზოგადო კრებაში ხმის მისაცემათ იწერება ბარათის მსგავსად, რომელზედაც ორი მოწამე ხელს უნდა აწერდეს და რომელიც უნდა წარუდგინონ კომმისიას კრების სხდომამდის სამის დღით წინ მაინც. (1—1)

## LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილო), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი — გამომგონი.

## pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—22

**კავკასიის საბებიო ინსტიტუტი სამშობიარო ლოშპიტლით**

(ვერაზე, ფოსტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაური; ღარიბები მუქთად. ლოშპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველდღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე დილის 8 საათიდამ $9\frac{1}{2}$-მდი დოქტორი არტემიევი და $9\frac{1}{2}$-დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ალბანუსი და კაპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა.

# საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად

რის ბუტმანი, ქიმიკოსი პეტერბურგში,

**იმპერატორის**  **სასახლის მეიჯარადრე**

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყნების სახელმწიფობისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.

1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენის დროს ამ საშუალების გამომგონისათვის, დიდი




ვერცხლის მედალი მიეცა და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

გამომგონი პასუხს აგებს.

**ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.**

**პრეის-კურანტი:**





წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნელისათვის — 1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის ტილის წამალი — 1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. დაბეჭრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა — 60 კაპ.

**უმთავრესი დეპოარის** თფილისში, დვორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვლადიკავკაზში, სვგალთან. ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; სტავროპოლში — კურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოშტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. **აქვე ისყიდება თმის საღებავი.** 54—12

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი. | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია. | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ცეცხლის გემები**

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — ხუთშაბ. შუადღეზე

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — ოთხშაბათს, დილით.

ოდესას — ოთხშაბათს, შუადღეზე.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 12 მარტს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 32 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 334 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 5 | |
| ბანკის ბილეთი 5% | 100 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 226 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 217 | 75 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | 94 | — |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 88 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 86 | 75 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 172 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკასის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 17 მარტს | | |
| პური შოთაგალის ფთ. | — | 90 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 55 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 50 |
| — თარაქამისა ფთ. . | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 63 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 72 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 80 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 22 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 6 | 15 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Марта 1876 г. Типографія Меликова и Кº.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.